



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
ბენეფიკარული დირექტორის

ბრძანება № 31

ქ. თბილისი

16 მარტი 2018 წ.

2017 წლის მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში  
გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების  
დამტკიცების შესახებ

„მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების“ პროგრამის ფარგლებში  
გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების  
დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N86 დადგენილებით  
დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის „ე“  
ქვეპუნქტის, მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა  
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების  
შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/5  
ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და  
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა  
და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი  
სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N294371; 15.03.2018) შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს 2017 წლის მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების  
პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში  
გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. გამარჯვებულმა წამყვანმა და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)  
ორგანიზაციებმა არაუგვიანეს 2018 წლის 21 მარტისა 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის  
საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ  
შემდეგი დოკუმენტები:
  - ა) წერილობითი დადასტურება იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციას  
არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;
  - ბ) არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის შემთხვევაში პროექტის  
სახსრებისთვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო ანგარიში და ცნობა გაცემული ბანკის მიერ  
იმის შესახებ, რომ წარმოდგენილ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

გ) პროექტის დაზუსტებული ბიუჯეტი.

3. დაევალოს ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებულ გამარჯვებული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2018 წლის 29 მარტისა.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში (STCU) გამარჯვებული პროექტები				
№	SRNSF კოდი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	თანამონაწილე ორგანიზაცია
1	STCU-2017-31	დარტყვითი ტალღით მაგნიტური ნანოკომპოზიტების მიღება ინდუსტრიასა და მაგნეტოელექტრონიკაში გამოსაყენებლად	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
2	STCU-2017-48	შერჩეული ბაზიდიომცეტების ლიგნინოლიტიკური ფერმენტების სინთეზი, გაწმენდა, დახასიათება და გამოყენება	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	
3	STCU-2017-20	კიბოს უჯრედების თვითრეგულირებადი (კიურის ტემპერატურით ლიმიტირებული) მაგნიტური ჰიპერთერმიისთვის ახალი ნანომასალების შექმნა და კვლევა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული მედიცინის ცენტრი
4	STCU-2017-29	77 K-ზე მეტი კრიტიკული ტემპერატურის მაღალტემპერატურული ზეგამტარების მიღება დინამიკური მეთოდით	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
5	STCU-2017-33	პოლიტეტრაფტორეთილენისა და ფერომაგნიტური კლასტერებითდოპირებული ნახშირბადის ნანონაწილაკების ბაზის ახალი ანტიფრიქციული/ფრიქციული ნანოკომპოზიტების მიღება და კვლევა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	
6	STCU-2017-59	სახამებლის მადულარ გლუკოზამდე ერთსაფეხურიანი ჰიდროლიზი თერმომედეგი α-და გლუკოამილაზით	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	
7	STCU-2017-24	ახალი ფოტოკატალიზურ-ქოკატალიზური კომპლექსების შექმნა მწვანე ენერჯეტიკის, ეკოლოგიის და მედიცინისთვის	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	